ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ისნის რაიონის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის

ილია ჯიშკარიანის ანგარიში

ილია ჯიშკარიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრი, უპარტიო , საკრებულოს ფრაქცია „თბილისელების" წევრი .ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე. ფრაქცია შეიქმნა საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით, მის საქმიანობას საფუძვლად უდევს დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა, გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა, თანასწორობა კანონის წინაშე. ფრაქციის მიზანი და პოლიტიკური ამოცანებია დედაქალქის მაცხოვრებელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, დედაქალაქის წინაშე მდგარი მწვავე და კრიზისული პრობლემების აღმოფხვრის საქმეში ღია საზოგადოებრივი კამპანია, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა, თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობა, სკოლამდელი და სასკოლო რეფორმების ხელშეწყობა, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიზება-ხელშეწყობა, დედაქალაქის მაცხოვრებელთა საქალაქო ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის ხელშეწყობა, დედაქალაქის ადმინისტრაციული მართვის სისტემის და არჩევითი ორგანოების საქმიანობის დაქვემდებარება დემოკრატიული პრინციპებისადმი, აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

მაჟორიტარი დეპუტატი არის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი (ჩატარებულია კომისიის 34 სხდომა, განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 238 საკითხი) და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი .(ჩატარებულია კომისიის 18 სხდომა, განხილულია 26 საკითხი) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული 25 სხდომიდან, დეპუტატი დაესწრო -19. მაჟორიტარი დეპუტატის სახელზე შემოსულია 160 განცხადება.

ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის ილია ჯიშკარიანის ოფისი ფუნქციონირებს მისამართზე: ქ. წამებულის გამზირი N 46ა 2015 წლის 1 იანვრიდან. ისნის რაიონის მოსახლეობას საშუალება აქვს შეხვდნენ დეპუტატს ყოველდღე, 10^{00} -18^{00} საათებში, შაბათ-კვირის გარდა, ტელეფონი: 2-27-62-62. ყოველგვარი წინასწარი ჩაწერისა და რიგის გარეშე.

რაიონის მოსახლეობის ძირითადი პრობლემებია: დასაქმება,ავარიული სახლები , გაუმართავი ინფრასტრუქტურა ,სოციალური გაჭირვება, ჯანდაცვა სულ ოფისიდან გასულია 156 შუამდგომლობა, მათ შორის 22- ოპერაციის დაფინანსება, 39- მკურნალობა და

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 2 ფურცელი
№10/18533 20.10.15

მედიკამენტოზური დახმარება,სოციალური სტატუსის აღდგენა , 36- ერთჯერადი დახმარება მოსახლეობის იმ ნაწილს რომელთაც არ გააჩნიათ სოციალური სტატუსი და განიცდიან დაჭირვებას, აქვთ კომუნალური დავალიანება . 11-შუამდგომლობა გარდაცვლილის ოჯახისათვის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება , 48-ეზოს , ქუჩის ინფრასტრუქტურის მოწყობა, სახლების სახურავებისა და შენობების შერემონტება-გამაგრება, გამრიცხველიანება (მათ შორის შშმპირისათვის 2 პანდუსი).

განსაკუთრებით გამოვყოფდი დეპუტატის მონაწილეობას იმ პრობლემის მოგვარებაში რასაც ერქვა ავლაბრის ტერიტორიაზე ე.წ. ტბის არსებობა, ქ. წამებულის 24, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" გვერდით. მოძიებულ იქნა დაკარგული ინვესტორი, რომელიც ვალდებული იყო ამოეშრო არსებული ტბა და დაესუფთავებინა ტერიტორია. გზის გაყვანა მოციქულთა წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრამდე მეტრომშენში, ელიის მთაზე ფერიცვალების ეკლესიის და მეტრომშენში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ეკლესიის პატრონაჟი. სკვერის მოეწყობა ავლაბარში სომხური თეატრის გვერდზე, პანდუსის გაკეთება საბარგოს 12 შესახვევში და მოაჯირის გაკეთება მუჯირიშვილის 10-ში. ასევე მინდა აღვნიშნო, წინა ხელისუფლების პერიოდში 5 დეკემბრის ქუჩაზე არსებულ კერძო საკუთრებაში (ეზოში) დაიდგა 2008 წლის ომის გმირის შალვა დოლიძის მემორიალური დაფა, რითიც დარღვეული იყო კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, არც დაღუპულის ოჯახი იყო კმაყოფილი. დეპუტატის ძალისხმევით მოხდა მემორიალური დაფის გადმოტანა გარდაცვლილის საცხოვრებელთან ახლოს ლეხ კაჩინსკის 11-ში, სადაც გაიხსნა მისი სახელობის სკვერი.

საყურადღებოა ავლაბრის მოსახლეობის პროტესტი ქ. წამებულის გამზირზე არსებულ სკვერში, სადაც დგას ფარნავაზ მეფის ძეგლი, სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით, მოსახლეობამ ნახა დეპუტატის გვერდში დგომა, რის შედეგადაც შეჩერებულია აღნიშნული პროექტი საკრებულოში შემდგომ განხილვამდე, რომელიც აუცილებლად მოსახლეობასთან ერთად მოხდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას სოციალური სტატუსის შეჩერებასთან და შეფასების ახალ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რასაც ხშირად ახლავდა სოციალური აგენტების მხრიდან უხეში, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. რაც სამწუხაროდ დღემდე გრძელდება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქ. ეთერ ქარდავა, რომელსაც სტატუსი აღუდგინეს მხოლოდ დეპუტატის შუამდგომლობის შემდეგ, და კიდევ მრავალი სხვა.

მტკივნეულ საკითხად რჩება ხევის არსებობა მეტრომშენში, რის მოგვარებასაც ძალისხმევას არ აკლებს დეპუტატი.

ამ შედეგებით დეპუტატს აქვს სურვილი შეხვდეს მის ამომრჩევლებს 23 ოქტომბერს, 12 ^{00} საათზე, მეტრომშენის დასახლებაში ხევთან , წარსდგეს მათ წინაშე ერთგვარი აწგარიშით და უპასუხოს მათ შეკითხვებს.

საკრებულოს მაჟორიტარი

წევრი ილია ჯიშკარიანი